

The 2nd Teacher Conference “University and School” (Problems of Teaching and Education)
6-7 June, 2014. Materials

ლექსის შექმნა გერმანული ენის გაკვეთილზე

თინათინ მებურიშვილი¹, მირანდა გობიანი²

¹აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ენათა ცენტრის გერმანული ენის მასწავლებელი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის დოქტორანტი

E-Mail: tiniko76@yahoo.de

²აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

E-Mail: gobianimiranda@hotmail.com

ანოტაცია

სტატიაში განხილულია გერმანული ენის გაკვეთილზე ლექსის შექმნის საშუალებები, მიზნები და ფუნქციები და თანამედროვე მეთოდი, რომელიც ამ მიზნის მიღწევისათვის გამოიყენება, გაანალიზებულია ამ მეთოდის, როგორც შემოქმედებითი წერისა და ზეპირი პერფორმანსის განვითარების ხელშემწყობი მეთოდის მნიშვნელობა. ლექსების შექმნა უცხო ენის გაკვეთილზე საინტერესო და შემოქმედებითი გაკვეთილის ჩატარების საშუალებაა. ლექსებმა შესაძლოა მნიშვნელოვნად გაამრავალფეროვნოს გერმანული ენის გაკვეთილი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ისინი სტუდენტებისა და მოსწავლეებისათვის საინტერესო თემებს ეხება. სტატიაში წარმოდგენილია ჩვენ მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროექტი: „ლექსის შექმნა გერმანული ენის გაკვეთილზე“ და მისი შედეგები, აგრეთვე სტუდენტების მიერ შექმნილი ლექსების ნიმუშები. აღნიშნულ პროექტში მონაწილეობის მიღების შემდეგ ქართველი ახალგაზრდები კარგად ახერხებენ უცხო ენაზე დაწერონ ლექსი და ამით გადმოსცენ საკუთარი ემოციები, შეგრძნებები და საკუთარი დამოკიდებულება სამყაროს მიმართ.

საკვანძო სიტყვები: ლექსი, გაკვეთილი, გერმანული ენა

შესავალი

ლექსის შექმნა გერმანული ენის როგორც უცხო ენის გაკვეთილზე გერმანული ენის შესწავლის ერთ-ერთი საინტერესო მეთოდია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, უცხო ენის გაკვეთილზე ლექსის შექმნის მეთოდიკის შესახებ რაიმე მასალა არ არსებობს და თავად მეთოდი არაა დამკვიდრებული სასწავლო პროგრამებში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროექტი „ლექსის შექმნა გერმანული ენის გაკვეთილზე“, ჩვენი ხელმძღვანელობით, უკვე 2010 წლიდან ყოველწლიურად ხორციელდება.

რიტმების, ლექსების შექმნა და გართიმული ტექსტებით ვერბალური ბრძოლა არაა უცხო ქართველი ადამიანისათვის, თუნდაც კაფიაობის ტრადიციიდან გამომდინარე. ამიტომ ვთვლით, რომ არაა რთული ქართველი სტუდენტისათვის, რომელიც სწავლობს უცხო ენას, გერმანულად შექმნას ლექსი და ჩაატაროს პოეტური ბრძოლის რიტუალი გერმანული ენაზე. ეს საკომუნიკაციო აქტივობა საინტერესო და, ამავედროულად, მომგებიანი აქტივობაა გაკვეთილის შემოქმედებითად

The 2nd Teacher Conference “University and School” (Problems of Teaching and Education)
6-7 June, 2014. Materials

დაგეგმვისათვის. აქ ხდება ტრადიციისა და უცხო ენის შესწავლის თანამედროვე მეთოდის გაერთიანება, რაც, უდავოდ, საინტერესო მიდგომაა უცხო ენის შესწავლის პროცესში. გარდა ამისა, შეჯიბრის მომენტი, გამარჯვების სურვილი, რომელიც თან სდევს ნებისმიერ შეჯიბრს – ჩვენ შემთხვევაში, ვინ უკეთ რითმავს და ახერხებს საკუთარი რითმების საუკეთესოდ პრეზენტაციას – მოტივაციას ამაღლებს ახალგაზრდების ჯგუფში და იგი მათი ასკისათვის განსაკუთრებულად შესაფერისი სწავლების მეთოდია.

საკუთარი პერსპექტივებიდან შექმნილი ლექსი ეხმარება ახალგაზრდებს საკუთარი იდენტობის წარმოჩენაში. ისინი ეცნობიან შემოქმედებითი წერის კულტურას, თავად ახერხებენ საკუთარი ძალების მოსინჯვას ამ მიმართულებით, სწავლობენ ლექსის პრეზენტაციის მეთოდებს და ავითარებენ წერის და, ასევე, ზეპირი პერფორმანსის საკუთარ სტილს.

ყოველივე ამის მიღწევას, ბუნებრივია, სჭირდება დრო და მონდომება. ეს პროცესი უცხო ენის გაკვეთილზე ეტაპობრივად ხორციელდება სპეციფიკური მეთოდური საშუალებების გამოყენებით. ლექსის წერის პროცესი ნელ-ნელა ხდება სტუდენტისათვის არა რაიმე გადაულახავი სირთულე, არამედ სასიამოვნო პროცესი. იგი გარკვეული პერიოდის შემდეგ ახერხებს ლექსის სპონტანურად შექმნასაც.

დასახელებული მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია, ერთი მხრივ, კრეატიული წერისა და ზეპირი მეტყველების უნარ-ჩვევების განვითარება, მეორე მხრივ, გაკვეთილზე სასიამოვნო ატმოსფეროს შექმნა.

პროექტი: ლექსის შექმნა გერმანული ენის გაკვეთილზე

პროექტის განხორციელების შემოთავაზება მივიღეთ 2009 წელს თბილისის გოეთეს ინსტიტუტიდან, გავიარეთ შესაბამისი მომზადება სემინარებსა და მასტერკლასებში მონაწილეობით და განვახორციელეთ პროექტი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებთან. პროექტს ვატარებთ ყოველწლიურად სხვადასხვა ფაკულტეტზე. მისი ხანგრძლივობაა 2-3 თვე.

პროექტის განხორციელების პროცესი შემდეგნაირად მიმდინარეობს:

1. პროექტის გეგმის შექმნა
2. პროექტის ორგანიზება
3. ჯგუფების შერჩევა
4. პროექტის განხორციელება
5. შედეგების პრეზენტაცია & პოეტური დუელი
6. ბლოგის შექმნა
7. შედეგების გამოქვეყნება ბლოგში

პირველ გაკვეთილზე ვაწვდით სტუდენტებს ზოგად ინფორმაციას პროექტის შესახებ, ვაცნობთ ე.წ. „პოეტურ სლემს“ (Poetry Slam¹), საინტერესო ინტერნეტგვერდებს, სადაც შესაძლებელია იხილონ გერმანიაში პოეტური სლემის ჩატარების ნიმუშები, გაეცნონ ცნობილ გერმანულ სლემერებს.

შემდეგ ეტაპზე სტუდენტები კითხულობენ სხვადასხვა გერმანული ავტორის

¹ Poetry Slam ist, laut Preckwitz, eine literarische Veranstaltungsformat, der Slam – eine literarische Bewegung und Slam Poetry – die publikumsbezogene und live performte Literatur. [1]

The 2nd Teacher Conference "University and School" (Problems of Teaching and Education)
6-7 June, 2014. Materials

ლექსებს. ლექსების წაკითხვის პროცესი საინტერესოდ მიმდინარეობს: სტუდენტები თავისუფალნი არიან ლექსის არჩევანში, შეუძლიათ საკუთარი პერსპექტივიდან, სხვადასხვა ემოციებით და სხვადასხვა სიტუაციების გათვალისწინებით, სხვადასხვა მოდალობით წაკითხონ ერთი და იგივე ლექსი და ნელ-ნელა დაეუფლონ პერფორმანსის ტექნიკას.

შემდეგი ეტაპი: სტუდენტები ცდილობენ შექმნან მარტივი რითმები, რაც ხორციელდება ე. წ. დახურული ტიპის სავარჯიშოებით, როგორცაა, მაგ:

Ich mag ...

Ich mag ...

Ich mag ...

Aber

ან

Ich liebe ...

Ich liebe ...

Ich liebe ...

Aber ich hasse ...

მაგალითად:

1. Ich mag sehr strahlende Sterne sehen
Ich mag sehr in den Träumen wandern
Ich mag sehr mit dem leben jubeln
Aber ich hasse die Zeit, die Sekunde
Die laufen ohne das alles

2. Ich mag, wenn du einatmest.
Ich mag, wenn du ausatmest.
Ich mag, wenn du für mich tanzt.
Ich mag, wenn du für mich lachst.
Und was hasse ich? :)
Ich hasse alles ohne dich!!!

3. Ich liebe dich mehr als Leben
Ich liebe nur dich auf der Welt
Ich liebe dich, ich denk´ an dich, ich suche dich
Und mein Warten hat kein Ende.

შემდეგი ეტაპი: სტუდენტები ქმნიან რითმებს, ამჯერად კონკრეტულ თემაზე. მაგ: *die Liebe, das Leben, Heimat ან Schönheit* და ა.შ.

ამის შემდეგ სტუდენტები ქმნიან რითმებს, ამჯერად უკვე არა დახურული ტიპის სავარჯიშოების მიხედვით, არამედ ჯერ კონკრეტულ, პედაგოგის მიერ მითითებულ და შემდეგ მათთვის სასურველ თემაზე. ეს ის ეტაპია, როცა სტუდენტები უკვე ქმნიან საკუთარ ლექსებს. მასწავლებელი ეხმარება მათ, უსწორებს გრამატიკულ შეცდომებს, აძლევს მითითებებს, რჩევებს, მაგრამ არ ეხება ლექსის შინაარსობრივ მხარეს.

Frei sein!

Freiheit ... was jeder will.

Was für uns Entspannung bringt.

Frei sein – was bedeutet das?

The 2nd Teacher Conference "University and School" (Problems of Teaching and Education)
6-7 June, 2014. Materials

Was? Was? Was?
 Brauchst du auch das?
 Alle und alles brauchen etwas.
 Etwas? Und was?
 Brauchst du auch das?
 Freiheit ... frei sein,
 Freiheit ... frei sein,
 Ohne fremden Einfluss denken,
 Nach eigenen Wünschen streben ...

Einsamkeit

Hey, Einsamkeit, ich hasse dich
 Du schenkst mir keine Freude
 Mit dir will ich nicht jahrelang
 Mein Leben vergeuden.
 Hey, Einsamkeit, ich hasse dich
 Du forderst zu viel von mir
 Bitte, lass mich in Ruhe
 Spiel anderswo dein Spiel
 Hey, Einsamkeit, ich hasse dich
 Was willst du noch von mir
 Du hast den Frohsinn mir genommen
 Ich gehöre doch schon lange dir.
 Ich trage diesen Hass in mir
 Und das alles nur wegen dir,
 Du warst einmal das Beste für mich
 Nun hasse ich dich.

შემდეგი ეტაპი: სტუდენტები იწყებენ ვარჯიშს წარმოთქმაზე, პერფორმანსზე, სწავლობენ საკუთარ ლექსებს ზეპირად და ემზადებიან პოეტური დუელისათვის.

ლექსების პრეზენტაცია ხდება ჟიურის წინაშე, ჟიური სტუდენტთა გამოსვლას აფასებს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: 1. ლექსი 2. პრეზენტაცია 3. წარმოთქმა 4. ორიგინალურობა.

Teilnehmer	Gedicht	Präsentation	Aussprache	Originalität


ჟიური ასახელებს გამარჯვებულს. ყველა ლექსი, ავტორის ნებართვით, იდება ჩვენს ბლოგზე: www.poetryslams.wordpress.com და კვლავ გრძელდება მათი შეფასება კომენტარების სახით. აუცილებელი წინაპირობაა, რომ კომენტარი დაიწეროს გერმანულ ენაზე, რაც დამატებითი საშუალებაა უცხო ენის გამოყენების.

მაგალითად:

The 2nd Teacher Conference “University and School” (Problems of Teaching and Education)
6-7 June, 2014. Materials

RESPONSES

Ein ungewöhnliches Liebesgedicht  By: **Miro** on 17. Juli 2013 at 12:44
Antwort

machen Sie Video auch, ich will sehen, wie giorgi präsentiert  By: **Nia** on 19. Juli 2013 at 17:43
Antwort

Giorgi fuehlt sich als Berg? was kann das bedeuten?  By: **Busuna** on 19. Juli 2013 at 17:48
Antwort

er fühlt sich wie ein Berg, nicht als Berg 🙄, vllleicht heißt das, dass er sich größer fühlt  By: **Saba** on 19. Juli 2013 at 19:11
Antwort

veraferi gavige, damexmaret, mitargmnet 🙄  By: **Mamuka** on 19. Juli 2013 at 22:23
Antwort

დასკვნა

ლექსების შექმნა უცხო ენის გაკვეთილზე საინტერესო და შემოქმედებითი გაკვეთილის ჩატარების საშუალებაა. პროექტში „ლექსის შექმნა გერმანული ენის გაკვეთილზე“ მონაწილეობის მიღების შემდეგ ქართველი ახალგაზრდები კარგად ახერხებენ უცხო ენაზე დაწერონ ლექსი და ამით გადმოსცენ საკუთარი ემოციები, შეგრძნებები და საკუთარი დამოკიდებულება სამყაროს მიმართ. ისინი ეჩვევიან აზრის დაფიქსირებას, არგუმენტირებას, ავითარებენ წერის, პრეზენტაციის და პერფორმანსის კომპეტენციებს, ქმნიან წერის საკუთარ სტილს, ხვეწენ წარმოთქმას, სწავლობენ ბევრ ახალ სიტყვას. სტუდენტები ახერხებენ გადალახონ საჯარო გამოსვლის შიში, გაანალიზონ და შეაფასონ სხვა ავტორების ლექსები, რაც, საერთო ჯამში, ამაღლებს მათ ენობრივ ცოდნას და, შესაბამისად, მათ თავდაჯერებულობას, წერონ, იკითხონ და ისაუბრონ გერმანულად. თავად ჩვენთვის, მასწავლებლებისათვის, უფრო საინტერესო გახდა სტუდენტებთან მუშაობა. ამ პროექტის განხორციელებით შევძელით ჩვენს ჯგუფებში გერმანული ენის პოპულარიზაცია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Preckwitz, B. Spoken Word und Poetry Slam: kleine Schriften zur Interaktionsästhetik. Wien: Passagen-Verl., 2005.
2. Anders, P. Poetry Slam: Unterricht, Workshops, Texte und Medien; mit Slam Poetry von Bas Böttcher, Dalibor, Jasper Diedrichsen, Gary Glazner, Nora Gomringer, Julian Heun, Wolf Hogeckamp, Lars Ruppel, Nektarios Vlachopoulos u.a. Baltmannsweiler: Schneider-Verl. Hohengehren, 2011.
3. Wild, E. Gedichte im Unterricht „Deutsch als Fremdsprache“. <http://www.abrapa.org.br/cd/pdfs/Wild-Edmund-DRS7.pdf> (Stand: 10.05.2014)

ტექსტში გამოყენებული ცხრილები, დიაგრამები, სურათები:

1. სურათი - 1
2. ცხრილი - 1